საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბალბა

ბალბა (Malva), ერთ, ორ ან მრავალწლოვან ბალახოვან მცენარეთა გვარი ბალბისებრთა ოჯახისა. აქვს 10–100 სმ სიმაღლის სწორი, გართხმული ან წამოწეული ღერო, მომრგვალო-თირკმლისებრი, ოდნავ დანაკვთული, იშვიათად თათისებრ განკვეთილი გრძელყუნწიანი ფოთლები და მარტოული ან კონებად შეკრებილი თეთრი ან მოვარდისფრო-იისფერი ყვავილები. 40-მდე სახეობა გავრცელებულია ჩრდ. ნახევარსფეროს ზომიერ, იშვიათად სუბტროპ. სარტყლებში.

საქართველოში, მთის ქვედა და შუა სარტყლის ბუჩქნარებში, დანაგვიანებულ ადგილებსა და გზის პირებზე, იზრდება 5 სახეობა. მათგან M. silvestris და M. neglecta მთელ რესპუბლიკაშია გავრცელებული, M. erecta და M. ambigua – მხოლოდ დას. საქართველოში, M. Pusilla – აფხაზეთსა და ბორჯომში. ბ-ის ზოგიერთი სახეობის (M. Silvestris) ყვავილებსა და ფოთლებს იყენებენ ხალხ. მედიცინაში, ხმარობენ მხალად.

ლ. ხინთიბიძე